ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა
და
სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის „დელტა“ შორის

ქ. გორი 19 თებერვალი, 2019 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია“), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებელის, პოლკოვნიკ მამია ბალახაძის სახით და მეორე მხრივ სსიპ -სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ (შემდგომში „დელტა“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის უჩა ძოძუაშვილის სახით (შემდგომში „მხარეები“), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ მომავალი თაობებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის და მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის ნებასა და მზადყოფნას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია აკადემიასა და „დელტას“ შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის საგანმანათლებლო, კვლევითი, ინოვაციური პროგრამების განვითარებასა და პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლებას.

მუხლი 2.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1.მხარეები:

ა) შექმნიან თანამშრომლობის რეალურ პირობებს და ხელს შეუწყობენ თანამედროვე სამხედრო და საინჟინრო ტექნოლოგიების პოპულარიზაციას და განვითარებას;

ბ) ითანამშრომლებენ მაღალპროფესიული საინჟინრო კადრების მომზადებაში;

გ) გამოხატავენ მზადყოფნას საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და ამაღლებაში;

დ) ხელს შეუწყობენ განათლების, მეცნიერებისა დატექნოლოგიების სფეროში გამოცდილების და სიახლეების ერთმანეთისთვის გაზიარებას;

ე) ითანამშრომლებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებში;

ვ) ხელს შეუწყობენ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას;

ზ) ითანამშრომლებენ საჯარო ლექციების, სემინარების, ტრენინგების, კონფერენციების, სიმპოზიუმებისდა სხვა აქტივობების ჩატარების საკითხებში;

თ) განიხილავენ თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ ფორმებს და მიმართულებებს, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე მემორანდუმში;

ი) ხელს შეუწყობენ მხარეთა შორის საგანმანათლებლო, კვლევითი, ინოვაციური პროგრამების განვითარებას.

2.2. აკადემია:

ა) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს საკონფერენციო, სალექციო დარბაზების, სპორტული და კულტურული კომპლექსების და სხვა ინფრასტრუქტურული საშუალებების გამოყოფას;

ბ) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას;

გ) მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს ლაბორატორიების და სამხედრო დანიშნულების საშუალებების გამოყენებას.

2.3. დელტა:

ა) უზრუნველყოფს აკადემიის საინჟინრო და სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების პრაქტიკული მეცადინეობებისა და საწარმოო პრაქტიკების ჩატარებისათვის საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, საგამოცდო და ლაბორატორიული ბაზების გამოყენებას, აგრეთვე კოორდინატორისა და მენტორების გამოყოფას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის ჩართულობას აკადემიური პროგრამების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებში.

მუხლი 3

დამატებითი პირობები

3.1. წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები;

3.2. მემორანდუმი უვადოა, ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე. შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს, არ წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე და კომპეტენციაზე.

3.3. მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

3.4. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პოლკოვნიკი მამია ზალახაძე	სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრი „დელტას“ გენერალური დირექტორი ეჩა ძოძუაშვილი